

ლადო პაპავა: ეროვნულ ბანკს ანგრევენ, ანგრევენ ქართულ სახელმწიფოს... ქვეყანაში სასწაულებრივი ინფლაციაა

გაზეთი “ყველა სიახლე”, 26 ოქტომბერი – 1 ნოემბერი, № 43, 2007

საქართველოს პარლამენტმა ეროვნული ბანკის შესახებ კანონი 1995 წელს მიიღო. მას შემდეგ ეს ორგანო მუდმივად მთავრობის, პარლამენტისა თუ სხვადასხვა პოლიტიკური ძალის ზეწოლის ქვეშ იყო. თუ უწინ ზეწოლა ფარულად მიმდინარეობდა, ახალი ხელისუფლების პირობებში, მის წინააღმდეგ ბრძოლა აშკარა გახდა. მეტიც, დღეს მთავრობა გვიმტკიცებს, რომ სახელმწიფოს ფულად-საკრედიტო პოლიტიკის განხორციელებისთვის ეროვნული ბანკი სულაც არ სჭირდება. ლაპარაკობენ, რომ ბანკის შენობას უკვე გასაყიდად ამზადებენ. ვესაუბრებით, პარლამენტის წევრს, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ ლადო პაპავას.

– შემიძლია თამამად ვთქვა, რომ ჩვენ შევქმენით ცენტრალური ბანკის ერთ-ერთი საუკეთესო მოდელი, რომელიც კანონის თანახმად მთავრობისგან სრულიად დამოუკიდებელია. მნიშვნელობა არ ჰქონდა, ვინ იყო ეროვნული ბანკის პრეზიდენტი – ჯავახიშვილი, მანაგაძე თუ გოცირიძე, ეროვნულ ბანკს ფარულად თუ ღიად ყველა მათგანის პრეზიდენტობის დროს ებრძოდნენ. ეროვნულ ბანკს ებრძოდნენ მაშინაც, როდესაც ქვეყანაში საბიუჯეტო კრიზისი იყო და ებრძვიან ახლაც, როდესაც ბიუჯეტთან დაკავშირებით ქვეყანას ძველი პრობლემები აღარ აქვს.

– რატომ?

– მაშინ რატომ ებრძოდნენ, ამის გაგება კიდევ შეიძლება, მაგრამ დღეს რატომ ებრძვიან, არ მესმის. ჩემთვის სრულიად გაუგებარია, რატომ არ უნდათ, ქვეყანაში არსებობდეს მაკროეკონომიკური სტაბილურობის ბურჯი. ფაქტია, რომ დღეს მის წინააღმდეგ ბრძოლა მთელი ფრონტით მიმდინარეობს. ეს

პროცესი ჯერ კიდევ 2006 წლის გაზაფხულზე დაიწყო, როდესაც პარლამენტში შემოვიდა კანონთა პაკეტი საბანკო სფეროს შესახებ. ამ ცვლილებების მთავარი მიზანი საბანკო ზედამხედველობის ფუნქციის ეროვნული ბანკის დაქვემდებარებიდან გამოტანა იყო. ეს პროექტი ცნობილი იყო კახა ბენდუქიძის პროექტად. მაშინ, ეროვნულ ბანკთან ერთად, ამ წინადადებას შეეწინააღმდეგა პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი კოვზანაძე. საბოლოოდ მთავრობა ბრძოლის ამ რაუნდში კოვზანაძესთან ჭიდილში დამარცხდა.

– ბატონო ლადო, რატომ აქვს ეროვნული ბანკის ამ ფორმით არსებობას ქვეყნისთვის ასეთი დიდი მნიშვნელობა?

– საბანკო სფერო მეტად ფაქიზი სფეროა. ნებისმიერი მცირე პოლიტიკური რყევაც კი მასზე ძალზე უარყოფითად აისახება. აქედან გამომდინარე, საჭიროა საბანკო ზედამხედველობას ახორციელებდეს პოლიტიკურად დამოუკიდებელი ორგანო. მთავრობა თავისი ბუნებით სწორედ პოლიტიკური ორგანო გახლავთ, რომელსაც კონსტიტუციურად დაცვის არანაირი გარანტია არ აქვს: ქვეყანაში პოლიტიკური სიტუაციის გამწვავებისას, შესაძლოა, დღის წესრიგში მთავრობის გადაყენების საკითხი დადგეს. ეროვნულ ბანკს ასეთი პოლიტიკური რყევებისგან კანონი იცავს. თუ საბანკო ზედამხედველობის ფუნქცია მთავრობის ხელში გადავა, ჩათვალეთ, რომ საბანკო სფერო, შესაბამისად კი ქვეყნის ეკონომიკაც პოლიტიკური ზეგავლენისაგან მცირედითაც ვეღარ იქნება დაცული.

– ხელისუფლების არგუმენტი, რომ არის ქვეყნები, სადაც საბანკო სფეროს ზედამხედველობას მთავრობა ახორციელებს.

– ეს შეიძლება მხოლოდ ისეთ სახელმწიფოებში იყოს ეფექტიანი, რომელთაც აქვთ მაღალი პოლიტიკური კულტურა, ისეთ ქვეყნებში, სადაც მინისტრის შეცვლა არ იწვევს მოადგილეების შეცვლას, ანუ სადაც სამთავრობო აპარატი

სტაბილურია. ჩვენთან მინისტრის შეცვლისას არათუ მოადგილეები იცვლებიან, არამედ ლამის დამლაგებელიც. სამწუხაროდ, ეროვნული ბანკისთვის ბრძოლის მეორე რაუნდი მთავრობამ მოიგო – რომან გოცირიძე გადადგა და დღემდე ეროვნულ ბანკს პრეზიდენტი არა ჰყავს: დავით ამალლობელი, კარგი პროფესიონალი, პრეზიდენტობის მოვალეობის შემსრულებელია. დაიწყო მესამე რაუნდი – მთავრობა ეროვნული ბანკის გაუქმებისთვის ნიადაგს ამზადებს. ჩამოიყვანეს უცხოელი ექსპერტი სტივ ჰენჯი, რომელსაც მაღალ დონეზე შეხვედრებიც მოუწევს და სატელევიზო ეთერიც დაუთმეს. ყველაფერს აკეთებენ ამ იდეის პოპულარიზაციისთვის.

– საუბრობენ, რომ ეროვნულ ბანკს სავალუტო საბჭო ჩაანაცვლებს...

– სავალუტო საბჭო, უფრო ზუსტად კი სავალუტო ფარი ნიშნავს ისეთი სქემის ამოქმედებას, რომლის მიხედვითაც ქვეყანა თავის ეროვნულ ვალუტას ფიქსირებული გაცვლითი კურსით ერთ-ერთ რომელიმე კონვენტირებად ვალუტას მიაბამს. ჩვენ შემთხვევაში ეს შეიძლება იყოს დოლარი ან ევრო, რაც იმას ნიშნავს, რომ ქვეყანაში შემოსული უცხოური ვალუტის მთელი ნაკადი აუცილებლად ფიქსირებული კურსით უნდა გაიცვალოს.

– გამოდის, რომ ქვეყანას ფულად-საკრედიტო პოლიტიკა აღარ ექნება?

– დიახ. ეს იქნება სახელმწიფო სტატუსის მქონე, დიდი ვალუტის გადამცვლელი ჯიხური, ანუ ამ ორგანოს მიერ ფულის მიწოდების რეგულირება არ მოხდება. ეს კი ნიშნავს, რომ საქართველოში რამდენი უცხოური ვალუტაც შემოვა, იმდენი უნდა გადახურდავდეს და გავიდეს ბრუნვაში. ფიქსირებული კურსით გაცვლა რომ აწარმოო, საჭიროა, გქონდეს უცხოური ვალუტის საკამოდ დიდი რეზერვი. იმ შემთხვევაში თუ ფულის მიწოდების დარეგულირება არ მოხდება, დიდი რაოდენობის უცხოური ვალუტის შემოსვლის შემთხვევაში, ქვეყანა ინფლაციურ პროცესებს ვერ აიცილებს. ინფლაციის დონე რომ შემცირდეს, მთავრობა აუცილებელია

გადავიდეს პროფიციტურ ბიუჯეტზე, სადაც საგადასახადო შემოსავლები აღემატება ხარჯებს. ჩვენი ბიუჯეტი დეფიციტური იყო, დღესაც დეფიციტურია და უკვე ცნობილია, რომ მომავალ წელსაც ასეთივე ბიუჯეტი გვექნება... სავალუტო ფარის მექანიზმს აქვს ერთი პლუსი, – საგარეო ოპორაციებისას მეწარმე არაფერს კარგავს იმიტომ, რომ სტაბილურია გაცვლითი კურსი. მაგრამ ისმის სხვა კითხვა: დაიცავს კი ეს მოდელი ქვეყნის ეკონომიკას საგარეო ეკონომიკური შოკებისგან? რა თქმა უნდა – არა. თუ რომელიმე ქვეყანაში ფინანსურმა კრიზისმა იფეთქა, შენი ბაზარი ხდება სრულიად დაუცველი, რადგან იმ წამსვე სპეკულაციური ოპერაციები დაიწყება. თავში ვახსენე, რომ სავალუტო ფარის შემოღებას დიდი სავალუტო რეზერვი სჭირდება. ხომ ფაქტია, რომ ჩვენთან უცხოური ვალუტა საექსპორტო პოტენციალის გამო კი არ შემოდის, არამედ პრივატიზაციისა და უცხოური ინვესტიციების განხორციელების გზით. დამეთანხმებით, ეს პროცესები უსასრულოდ ვერ გაგრძელდება, რაც სავალუტო ფარის მოდელს სერიოზულ საფრთხეს შეუქმნის.

– თუ ეს მოდელი ამდენ საფრთხეს შეიცავს, რატომ არის მისი შემოღებით მთავრობა ასე დაინტერესებული?

– არ ვიცი, რატომ აქვთ ეს იდეა ასე აკვიტებული. მე ასევე დღემდე ვერ გავარკვიე, რატომ გაუქმდა ანტიმონოპოლიური სამსახური. წელს ამის მავნე შედეგები უკვე სახეზე გვაქვს, ამის მაგალითად თუნდაც შაქრის ბაზარიც კმარა. აშკარაა, რომ ფასების ავარდნა-დაცემაში რაღაც მონოპოლიურ გარიგებებს აქვს ადგილი. იგივე ფალსიფიკაციასთან ბრძოლა და საკვების უვნებლობის საკითხები, მაინტერესებს, რატომ აქვს სახელმწიფოს ასე უყურადღებოდ დატოვებული? ეს ხომ, ფაქტობრივად, ქართულ სახელმწიფოს ასუსტებს. რატომ არის ის ხალხი მთავრობაში, რომელიც ქართულ სახელმწიფოს მეთოდურად ანგრევს?!

– ბატონო ლადო, თქვენ უმრავლესობის წევრი ბრძანდებით. ამ კითხვებს თუ სვამთ ფრაქციის სხდომებზე, ან პრეზიდენტთან შეხვედრისას?

– ამ კითხვებს საჯაროდ, ქვეყნის პრეზიდენტის გასაგონად ვსვამ მათ შორის თქვენი გაზეთითაც. სამწუხაროდ, მაქვს არც თუ კარგი გამოცდილება; კერძოდ, როცა თავისუფალი ეკონომიკური ზონის საკითხს იხილავდნენ, ფრაქციის სხდომაზეც გამოვედი და სესიაზეც, მაგრამ ჩემი აზრი არავინ გაითვალისწინა. ნამდვილად არ მაქვს პასუხი კითხვაზე: რაში სჭირდება ქვეყანას მინისტრი, რომელიც აშკარად ქართულ სახელმწიფოს ანგრევს. ბენდუქიძეს ვგულისხმობ, რა თქმა უნდა...

– ბრძანეთ, სააკაშვილის გასაგონად ვამბობო, არ გექცევით საშუალება, პირადად დაუსვათ ეს კითხვები?

– საქართველოს პრეზიდენტს ვთხოვე შეექმნა ეკონომიკური საბჭო, რაზეც დამთანხმდა. 2005 წლის დეკემბერში ჩვენ შევხვდით კიდეც, გვქონდა შესანიშნავი საუბარი, იანვარში კი გამოიცა ბრძანებულება და საბჭოც შეიქმნა, რომელშიც ცხრა ეკონომისტი შევედით.

– მას მერე სულ რამდენჯერ შეიკრიბეთ?

– დებულების მიხედვით საბჭოს თავმდომარე პრეზიდენტია, რომლის ინიციატივითაც ხდება საბჭოს შეკრება. ჩვენი პირველი შეხვედრა გაიმართა 2005 წლის მარტში, ჯერჯერობით ეს იყო ამ საბჭოს პირველი და ბოლო შეკრებაც.

– ბატონო ლადო, ამბობენ, რომ თქვენი პოზიცია უმრავლესობაში უკვე ძალიან აღიზიანებთ...

– არ ვიცი ამას მართლა ამბობენ თუ არა, თუმცა ჩემთან ამ თემაზე არავის ულაპარაკია. ერთი შემთხვევა გითხრათ: ნებისმიერ გადაწყვეტილებას ვიღებ ჩემი პრინციპებიდან და სინდისიდან გამომდინარე. ამით იყო განპირობებული ჩემი გადაწყვეტილებები, როდესაც გირგვლიანის საკითხთან დაკავშირებით კომისიის შექმნას დაუჭირე მხარი და ისიც, როდესაც სასამართლოებიდან ვიდუკამერების გაძევების წინააღმდეგ მივეცი ხმა. თუ კი პოლიტიკოსისთვის ეს შეიძლება არასწორ ნაბიჯად ჩაითვალოს, რადგანაც პოლიტიკა მაინც გუნდური თამაშია, მაშინ ვადიარებ, რომ ცუდი პოლიტიკოსი ვარ...

– მოკლედ, უმრავლესობის დატოვებას არ აპირებთ?

– დანამდვილებით შემთხვევით გითხრათ, რომ უმრავლესობის ხელმძღვანელებიდან ჩემი პოზიციის გამო არასდროს არავის შენიშვნა არ მოუცია. ჯერ ერთი, მე პატარა ბავშვი არა ვარ, რომ ვინმესგან შენიშვნები მივიღო, მეორე, თუ ვინმეს ჩემი ქცევა დისკომფორტს უქმნის, პოლიტიკურად ჯვარი კი არა მაქვს ვინმეზე დაწერილი, ახლა განქორწინება რომ გამიჭირდეს. ჩემი მიზანი ოპოზიციურ პარტიაში გადასვლა არ არის, მეტიც, სულაც არ მგონია, რომ აუცილებლად მომავალ პარლამენტშიც უნდა ვიყო. თუ ჩემი პოზიცია არ მოსწონთ და ამის გამო გამრიცხავენ უმრავლესობიდან, ეს სულაც არ იქნება ჩემთვის ტრაგედია... შეგახსენებთ, 2007 წლის სექტემბერში ბიუჯეტში შევიდა ცვლილებები, რომელიც პირველ კენჭისყრაზე ჩავარდა. ხომ გახსოვთ ამის შემდეგ უმრავლესობის რამდენიმე წევრმა საკუთარი ხმა უკან წაიღო. მეც წინააღმდეგი ვავედი, მაგრამ ჩემთან არავინ მოსულა მოთხოვნით, წაიღეთ თქვენი ხმა უკანო. ამას ნადვილად ვერ გამიბედავდნენ.

– დანარჩენებს მოსთხოვს?

– არ ვიცი, ამის შემსწრე არ ვყოფილვარ. არც თუ დიდი ხნის წინ მთავრობისთვის ნდობის გამოცხადების საკითხი დადგა, პარლამენტში

ავადმყოფობის გამო ვერ გამოვცხადდი, მაგრამ რომც ვყოფილიყავი, აუცილებლად წინააღმდეგ მივცემდი ხმას.

– რატომ?

– იმიტომ, რომ აგერ დღეს უკვე ეროვნულ ბანკს ანგრევენ, იმიტომ, რომ ანგრევენ ქართულ სახელმწიფოს, იმიტომ, რომ ქვეყანაში მაღალი ინფლაციაა.

– ეროვნული ბანკის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი დავით ამადლობელი აცხადებს, რომ ეროვნულმა ბანკმა ეს წელი ზარალით დაასრულა. რას ნიშნავს ეს განცხადება?

– მსგავსი განცხადება კომერციული ბანკებისთვის ნიშნავს გაკოტრებას, მაგრამ არა ეროვნული ბანკისთვის. ეროვნული ბანკი არის სახელმწიფო ბანკი, რომლის ზარალიც მხოლოდ საბუღალტრო ჩანაწერია. საქართველოს ისტორიაში ეს მეორე შემთხვევაა. პირველად ამგვარი რამ რუსეთის დეფოლიტის უარყოფითი ზეგავლენის გამო 1998 წელს მოხდა. ამის კატასტროფად წარმოჩენის მცდელობა ეროვნული ბანკის გაუქმების თემის გაგრძელებაა და მეტი არაფერი.

– ამ ფონზე მსოფლიო ბანკი ავრცელებს სარეიტინგო მონაცემებს, რომლის მიხედვითაც საქართველომ მეწარმეობის გაიოლების სფეროში თურმე მე-18 ადგილზე გადაინაცვლა.

– არ მიწეინოთ, მაგრამ ეს რეიტინგები ძირითადად ჟურნალისტებზეა გათვლილი და არა ეკონომიკაში ჩახედულ ხალხზე. მაგ რეიტინგში, წარმოდგინეთ, რომ „საცოდავი“ გერმანია მეოცეა. რომელიმე ჭკუათმყოფელს მოუვა აზრად, რომ საქართველოში ბიზნესის წარმოება უფრო ადვილია, ვიდრე გერმანიაში, ან ბიზნესმენი აქ უფრო დაცულია? საქართველოში საკუთრებას დღემდე ხელყოფენ, ობიექტური სასამართლო კი არ არსებობს. რეიტინგებით

თავმოწონების ნაცვლად საქართველოს მთავრობას ურჩევნია გვითხრას, ქვეყანაში რეალურად როგორია ინფლაციის დონე, როგორია მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ტემპი და სიღარიბის ზღვარი?! მე-18 ადგილზე გასულ ქვეყანაში შეიძლება, ვაუჩერები რიგდებოდეს და ფქვილს ტომრებით არიგებდნენ?

– ბატონო ლადო, სოფლად ამ ფქვილსა და ვაუჩერებს თურმე “ოქრუაშვილის ნობათი” შეარქვეს...

– ამაზე მხოლოდ ის შემიძლია გითხრათ, რომ ჩვენს ხალხს, როგორც ყოველთვის, იუმორის გრძნობა არ დაღატობს.

ნათია დოლიძე